

ნინო სურმავა  
(საქართველო)

### ამინ არ-რეიჰანის „ჯუჰანი“ და მისი თარგმანების პრობლემატიკა

ამინ არ-რეიჰანი<sup>1</sup> სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის აღიარებული კორიფე, XX საუკუნის დასაწყისის „ნაჰდას“<sup>2</sup> არაბული მოძრაობისა და მისი განუყოფელი ნაწილის – „მაჰჯარის“<sup>3</sup> ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. სულ რაღაც 12 წლისა, 1888 წელს, იგი ოჯახმა ნიუ-იორკში გაგზავნა. მწერალი ბავშვობის ასაკშივე შეეთვისა ამერიკულ გარემოს, აქტიურად ეცნობოდა როგორც ევროპულ, ასევე ამერიკულ ლიტერატურას, ჩაირიცხა კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სწავლა შეწყვიტა და ლიბანში დაბრუნდა. არაბულ კულტურასთან სულიერი კავშირი მწერალს არც ამერიკაში გაუნყვეტია, პირიქით, სამშობლოსთან სიშორემ და ოკეანის მიღმა ყოფნამ და ცხოვრებამ მისი გრძნობა სამშობლოსი კიდევ უფრო გაამძაფრა და გააფაქიზა.

1901 წლიდან ამინ არ-რეიჰანი უკვე ამერიკის მოქალაქეა. ამერიკელი უოლტ ვიტმენის მიმდევარი და რაღაც ემერსონის დიდი გავლენის ქვეშ მყოფი მწერალი ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურს და სამშობლოში დაბრუნებამდე თავის სამწერლობო გზას სწორედ ინგლისურად იწყებს. 1911 წელს ინგლისურად დაწერილი და გამოცემული მისი რომანი „ხალიდის წიგნი“ ამერიკაში არაბი მწერლის პირველ ინგლისურენოვან რომანად შევიდა ისტორიაში. 1904 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეიჰანი მშობლიური ენის, კულტურის და ლიტერატურის შესწავლით იყო დაკავებული. ამ დროიდან მოყოლებული ის აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს, 6 წელი განმარტოებით ცხოვრობს ლიბანის მთებში და წერს არაბულ ენაზე (გარდავაძე 2015: 10-11).

უნდა აღინიშნოს, რომ „მაჰჯარის“ ტრანსკულტურული სკოლის ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ იქმნებოდა არაბული რეგიონის გარეთ, რეალურად იყო XX საუკუნის დასაწყისის „ნაჰდას“ მოძრაობის განუყოფელი

1აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულია მწერლის გვარის ორი ფორმა: რეიჰანი/არ-რეიჰანი.

2 არაბული ტერმინი ნაჰდა (ქართულად-აღორძინება) აღნიშნავს XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში არაბულ სამყაროში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და ახალი არაბული ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესს.

3 იგივე ემიგრანტული ლიტერატურა, რომელიც აერთიანებს XIX-XX საუკუნეებში სირია-ლიბანიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული მწერლების შემოქმედებას; ამიტომ ლიტერატურულ წრეებში მას ხშირად უწოდებენ სირიულ-ამერიკულ სკოლას. თანამედროვე ემიგრანტული მწერლობისგან განსასხვავებლად კი ძველ ემიგრანტულ ლიტერატურადაც მოიხსენიებენ.

და ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის იყო როგორც არაბული კულტურის მოდერნიზაციის ერთ-ერთი ძლიერი კატალიზატორი, ასევე დასავლური ღირებულებების აღმოსავლურ კულტურასთან პოზიტიური კუთხით სინთეზის ინიციატორი. უდიდესია ემიგრანტი მწერლების ღვაწლი XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთისთვის (ამერიკისა და ევროპისთვის) მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის არაბებისა და ისლამის პრინციპების ჭეშმარიტი სახით წარდგენასა და გაცნობაში. ამ მისიის განხორციელება მაჰჯარის სკოლამ თავისი ორენოვნებით შეძლო. ამ სკოლის ბევრი წარმომადგენელი ჯერ ლიბანში მისიონერულ სკოლებში დანყებული განათლებით და შემდეგ, დასავლეთში იძულებითი ემიგრაციის პირობებში, უცხო ენობრივ გარემოში მათი სრული ადაპტირებით ორენოვან ავტორად ჩამოყალიბდა (გარდავაძე 2015: 6). მაჰჯარის სკოლის მწერლები ერთნაირი წარმატებით წერდნენ როგორც არაბულ, ისე ინგლისურ ენებზე. ამიტომ დიდია ემიგრანტი მწერლების როლი მთარგმნელობით პროცესში. მათი მხატვრული შემოქმედება ორივე ენაზე ერთნაირ სიმაღლეებს აღწევს. თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს წარმატებას, რომელსაც ემიგრანტმა მწერლებმა მიაღწიეს, – იქნება ეს თარგმანისა თუ ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა, – უპირანი იქნება აღინიშნოს, რომ თარგმანი, როგორც ტერმინი, არ შემოიფარგლება მხოლოდ აზრის მექანიკური გადატანით ერთი ენიდან მეორეზე, თარგმნა გულისხმობს ინტერპრეტაციას და ინტელექტუალური და ლიტერატურული ღირებულებების გადატანას ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას ემიგრანტი მწერლების დამსახურებებსა და მიღწევებს თანამედროვე არაბული ლიტერატურის ისტორიაში. თუ გამოვიყენებთ თარგმანის თეორიაში არსებულ ტერმინოლოგიას, არსებობს პირველწყარო ანუ სათარგმნი ენა, არის თარგმანის ენა და ამ ორ ენას შორის არსებული საფეხური, რომელსაც ხშირად „ტექსტთაშორის“ საფეხურს უწოდებენ. ფაქტობრივად, მაჰჯარის სკოლა თავისი ორენოვნებით გვიჩვენებს თარგმნას განსაკუთრებულად ცოცხალი ფორმით. მეტიც, მწერლები უშუალოდ „პირველწყაროდან“ არიან თარგმნილნი, რადგან მათ თავიანთი ბილინგვურობით წარმატებით გადალახეს „ტექსტთაშორისი“ საფეხური და შეძლეს მათი მასაზრდოებელი კულტურული ფასეულობების ინტერპრეტაცია და ინტელექტუალური და ლიტერატურული ღირებულებების უდანაკარგოდ გადატანა ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში (Alen 2012: 12).

ამდენად, ამინ არ-რეიჰანი „ჰიბრიდული იდენტობის“ მატარებელ მწერლად გვევლინება, რომელიც თავის ლიტერატურულ დისკურსში აღმოსავლურ-დასავლური ღირებულებების გონივრული სინთეზისგან ცდილობს მესამე სივრცის – ერთგვარი ალტერნატიული სამყაროს შექმნას. თითქმის ერთი საუკუნის წინ ის სწორედ ბიკულტურალიზმისა და ჰიბრიდულობის იდეას ქადაგებდა. დიდ მოაზროვნესა და მწერალს აღმოსავლეთ-დასავლეთის სულიერი სინთეზის იდეა საკუთარი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე აფიქრებს. XX საუკუნის არაბულ ლიტერატურაში ამ ორი სამყაროს შეხვედრის თემა, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას, სწორედ რეიჰანის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამინ არ-რეიჰანი სამი კულ-

ტურის პირმშოა – ამერიკულის, ევროპულის და არაბულის. მეტიც, არაბულ კულტურამდე ის ევროპულ-ამერიკულიდან მივიდა და საკუთარ თავს მისია დააკისრა – აღმოსავლეთში დასავლეთის ცოდნა შეეტანა და დასავლეთში – აღმოსავლეთის ფილოსოფია და პოეზია (გარდავაძე 2007: 109). მწერლის სიტყვები: „ლიბანი – პარიზი – ნიუ-იორკი! ჩემი სული ლიბანშია, გული – პარიზში, ნიუ-იორკში კი ამჟამად სხეულია მხოლოდ ჩემი“, ვფიქრობ, ყველაზე კარგად წარმოაჩენს დიდი მწერლისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობას (Rihani 2014: 52).

საქართველოში ამინ არ-რეიჰანის სახელს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან არაბული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანის პროცესი სწორედ ამ მწერლით იწყება. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დამფუძნებელი, ცნობილი მეცნიერი და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 1945 წელს გამოცემულ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ამინ არ-რეიჰანის უწოდებს „ევროპულ სმოკინგში გამონყოფილ არაბს“. გიორგი წერეთლის მიერ ამინ არ-რეიჰანიზე დანერილი სიტყვები, ვფიქრობთ, ზუსტად მიესადაგება მწერლის ტიპაჟს:

„მიუხედავად იმისა, რომ თავისი პიროვნების შემადგენელი ელემენტები ემინმა სხვადასხვა კონტინენტზე გაანაწილა, იგი მაინც არაბია... ემინ რეიჰანი ორი მსოფლიოს მიერ წარმომობილი ნაყოფია, აღმოსავლეთის და დასავლეთისა. იგი ხარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათ გაერთიანებას თავის არსებაში. ერთი მხრივ, აბუ ლ-ალა მაარრი, მუთანაბი და იბნ-საჰლი, მეორე მხრივ – ვოლტერი, გოეთე, ბალზაკი, კარლეილი, კიტსი, უოტ უიტმენი და სხვანი, სხვადასხვა სამყაროს ეს სხვადასხვა სიდიდეები როგორღაც თავსდება ერთად ემინ რეიჰანის პიროვნებაში... მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა ითქვას რეიჰანის პოეზიის შესახებ, რომ ეს არის ფლობერის „აღმოსავლეთი ფრაკში“, ან გადმოდება თუ არა ეს პოეზია უარსაყოფად რედიარდ კიპლინგის სიტყვებისა – *Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet* (ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი – დასავლეთი და ეს ტყუპები არასდროს შეიყრებიან) – მაგრამ, უეჭველია, რომ იგი წარმოადგენს ამ დებულების უარყოფის ცდას... თანამედროვე არაბეთისა და საერთოდ აღმოსავლეთის მთელი ლიტერატურის ძირითადი მოტივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების გაერთიანებაა. ამაზე ოცნებობს რეიჰანიც“ (წერეთელი 1945: 75-77).

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ რეიჰანის მცირე რომანს „Juhan“<sup>1</sup>, რომელშიც მწერალი ორი სრულიად განსხვავებული რელიგიის და კულტურის,

1 ჯიჰანი არის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – თურქი ქალი. მთავარი პერსონაჟის სახელის მართლწერის განსხვავებული ვერსიები არსებობს. ინგლისურენოვან ხელნაწერში მწერალი სახელს ხმარობს შემდეგი დამწერლობით: Juhan. ამიტომ ნაწარმოების ინგლისურენოვან გამოცემასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია ფორმა – Juhan. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელი არის თურქულ-სპარსული წარმომავლობის და გამოითქმის, როგორც ჯიჰან. შესაბამისად, არაბულენოვან ტექსტში გვხვდება ფორმა – ჯიჰან. ამინ არ-რეიჰანის ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.ameenrihani.org>) სახელის ორივე ფორმაა მოცემული: Juhan/Jihan.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის სიყვარულის გზით შეყრის თემას ავითარებს. სანამ რომანის თარგმანების პრობლემატიკას შევეხებოდეთ, პირველ რიგში, გავაანალიზებთ თავად ნაწარმოებს, რომელიც ავტორმა ინგლისურ ენაზე დაწერა 1917 წელს. ინგლისურენოვანი „ჯუჰანი“ თავიდანვე არ დაბეჭდილა. ამინ არ-რეიჰანის ძმა ალბერტ რეიჰანი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ იმ დროს არაბ ქალთა ემანსიპაცია არ იყო საინტერესო თემა ამერიკელი გამომცემლებისთვის, ამიტომ ნაწარმოები მისი ინგლისურად გამოცემის წელსვე ითარგმნა და გამოიცა არაბულად 'აბდ ალ-მასიჰ ჰადად-ის მიერ სათაურით „ჰარემის გარეთ“. არაბულენოვანი თარგმანი შემდეგ წლებშიც განმეორებით არაერთხელ გამოიცა, ხოლო ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტი, რომელიც შიგადაშიგ ხელითაა ჩასწორებული ავტორის მიერ), მწერლის სახლ-მუზეუმში ინახებოდა და მხოლოდ 2011 წელს გამოიცა სტამბურად. სწორედ 2011 წლის ინგლისურენოვანი გამოცემა ითვლება ყველაზე სრულყოფილ ტექსტად (Rihani 2011: 13-91).

„ჯუჰანი“ XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში აღმოსავლეთ-დასავლეთის თემატიკაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოებია. საფიქრებელია, რომ სასიყვარულო ურთიერთობის მეტაფორა, რომელიც XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში ერთგვარ ნორმად იქცა „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ციკლის რომანებში, სწორედ აღნიშნული ნაწარმოებიდან იღებს სათავეს.

ცნობილია, რომ რეიჰანი იყო ქალთა უფლებების აქტიური დამცველი და ის გაბედულად წერდა XX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლური საზოგადოებისთვის ტაბუდადებულ თემებზე. თავისი თანამედროვე მწერლებისგან განსხვავებით „ჯუჰანში“ რეიჰანი ხატავს მებრძოლი, ახალგაზრდა რევოლუციონერი თურქი ქალის სახეს, რომელსაც სურს მოდერნიზებული დასავლეთის ღირებულებები საკუთარ ხალხამდე მიიტანოს. ჯუჰანი მწერლისთვის გამოღვიძებული აღმოსავლეთის ერთგვარი სიმბოლოა. მთავარ პერსონაჟში ბევრი რამ დევს თავად ავტორისაც.

რომანში პირველი მსოფლიო ომის მოვლენათა ანარეკლია, მოქმედება თურქეთში 1915 წელს მიმდინარეობს და მთავარ მოქმედ გმირთა წყვილი სტამბოლში გერმანიის სამხედრო მრჩეველი, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი ფონ ვალლენშტეინი და მაღალი წრის ახალგაზრდა თურქი ქალი ჯუჰანია. ამდენად, „ჯუჰანში“ ასახულია სრულიად ახალი მოვლენები და კონფლიქტები, რასაც მკვლევარი დოლინინა რეიჰანის შემოქმედებაში ცალკეული რეალისტური ელემენტების გაჩენას უკავშირებს; მისი აზრით, „სწორედ დამაჯერებლობისკენ სწრაფვამ გამოიწვია ის, რომ არაბული რომანის გმირი არის არა არაბი, არამედ თურქი, რადგან თურქი მუსლიმი ქალები მეტად ევროპეიზებული იყვნენ და მეტი თავისუფლებითაც სარგებლობდნენ. არცერთი თუნდაც განათლებული არაბი მუსლიმი ქალი იმ დროს ვერ აღმოჩნდებოდა ჯუჰანის ადგილას“ (Долинина 1981: 18).

რომანის შინარსი შემდეგია: ჯუჰანი არის მთავარი გმირი, თურქი ქალი, რწმენით მუსლიმი, მაგრამ ცხოვრების თანამედროვე ხედვით. ის არის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის – რიდა ფაშას ქალიშვილი. ჯუჰანი გაშორებულია ქმართან, პრინც საიფ ად-დინთან, რადგან ქმარმა გატეხა ცოლისთვის მიცემული ფიცი, რომ მის გარდა სხვა ქალზე არ იქორწინებდა. ჯუჰანი იბრძვის თავისუფლებისთვის, ის წინააღმდეგია ზოგიერთი აღმოსავლური ტრადიციისა და სურს დასავლეთის პროგრესული შეხედულებები საკუთარ საზოგადოებაში დანერგოს. მიუხედავად იმისა, რომ მამა წინააღმდეგია შვილის თავისუფლებისა, ჯუჰანი მაინც ახერხებს იცხოვროს აქტიური ცხოვრებით. ორი ადამიანი იბრძვის მისი სიყვარულის მოსაპოვებლად: შუქრი ბეი, ბიძაშვილი და მამის შერჩეული საქმრო და გერმანელი ოფიცერი. ჯუჰანზე დიდი გავლენა აქვს რიდა ფაშას. მწერალი ხაზს უსვამს რიდა ფაშას ამბივალენტურ დამოკიდებულებას დასავლური ცივილიზაციის მიმართ, მას, ერთი მხრივ, მოსწონს პროგრესული დასავლეთი, მაგრამ ამავე დროს, აღმოსავლური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დამცველია, ისევე, როგორც ჯუჰანი ცდილობს შეათანხმოს ერთმანეთში აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობები. ქალის იმედი იმ მომავალ ბავშვშია ჩადებული, თავად რომ გააჩენს – გოგოს, რომელიც მის კვალს გაჰყვება და იბრძოლებს აღმოსავლელი ქალის თავისუფლებისთვის ან ბიჭს, რომელიც გაიზრდება გმირი, ლიდერი, მხსნელი ერისა. ამ ოცნების ახდენა ჯუჰანს შეუძლებლად მიაჩნია საკუთარი ერის წიაღში, ამიტომ სურს, ბავშვის მამა გერმანელი გენერალი იყოს, თუმცა ქორწინების იდეაზე უარს აცხადებს. გენერალი ვერ ითავისებს ქალის უარს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯუჰანი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მამის ციხიდან გათავისუფლების დაპირებით გენერალი ქალს იმორჩილებს. ჯუჰანი ხდება გენერლის მსხვერპლი. შუქრი ბეი, ჯუჰანის მამა და ძმა – სამივე გენერლის წყალობით იღუპება, რის შემდეგაც ქალი შურისძიებას გადაწყვეტს – გენერალს სახლში შეიტყუებს და წინაპრების ხანჯლით მოკლავს. შემდეგ სტამბოლიდან მოშორებით სხვა სახელით აგრძელებს ცხოვრებასა და ბრძოლას, თანამშრომლობს პროგრესულ გაზეთებთან და ზრდის ქერათმიან ბიჭს, მუსტაფას<sup>1</sup>, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეალებით. ამ ბავშვშია ჩადებული მთელი იმედი მისი ხალხის უკეთესი და ნათელი მომავლისა.

„ჯუჰანი“ მხოლოდ ფენიმიისტური იდეის მატარებელი როდია, აქ ჩანს კონფლიქტი ორ ურთიერთგანსხვავებულ აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროს შორის. აღმოსავლეთისა და დასავლეთის განმასახიერებელი ორი მთავარი გმირის ერთმანეთისკენ სიყვარულის გზით სვლას რომანში საბედისწერო ფინალი აქვს, რადგან მათი ერთმანეთისკენ სავალი გზები აცდენილია. ამ კავშირით ორივე გმირი სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავს

1 მუსტაფა – (არაბ.) რჩეული. შდრ. ჯიბრან ხალილ ჯიბრანის 1923წ. გამოცემული მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების “წინასწარმეტყველის” პროტაგონისტის სახელი – ალ-მუსტაფა.

– აღმოსავლელი ქალი ნანატრი თავისუფლებისთვის იბრძვის, ის ოცნებობს სიცოცხლე მისცეს ბავშვს, რომელიც გააერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ ღირებულებებს, დასავლელი კაცი კი განუსაზღვრელი ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, მისი „აზიური ოცნებაა“ იხილოს იმპერია გერმანული პროტექტორატის ქვეშ.

ნანარმოების ბოლოს ავტორი გვიჩვენებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ქორწინების იდეის კრახს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გმირი წავიდა კულტურულ კომპრომისებზე: გენერალმა შეითვისა აღმოსავლური ტრადიციები, ჯუჰანმა კი – დასავლური, მათი ქორწინების იდეა ჩაიშალა. ჯუჰანი ქორწინების წინააღმდეგია, მაგრამ იმედი მომავალშია ჩადებული. ჯუჰანის ვაჟი – მუსტაფა იქნება სწორედ ის „წინასწარმეტყველი“, რომელიც შეძლებს აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობების შეთანხმებას. სწორედ ეს არის რომანის მთავარი იდეა.

ჩვენი ყურადღება საგანგებოდ უნდა შევაჩეროთ ნანარმოების ფინალზე, რომელიც განსხვავებულია ინგლისურ ორიგინალში და არაბულ და რუსულენოვან თარგმანებში. პირველ და მეორე არაბულენოვან გამოცემებში (1917 და 1922 წწ-ის) „ჯუჰანი“ სრულდება გენერლის მკვლელობის სცენითა და ჯუჰანის თვითმკვლელობით (<https://www.hindawi.org/books/39464158/>). მთარგმნელს ('აბდ ალ-მასიჰ ჰადადს) სრულიად შეუცვლია ნანარმოების ფინალი და ამოუღია მუსტაფას მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს რომანის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს და ნანარმოების მთავარი იდეის მატარებელია, ჩვენი აზრით. ამინ ალბერტ რეიჰანი მთარგმნელის ასეთ ინტერპრეტაციას იმით ხსნის, რომ აღნიშნული ეპიზოდი იმ დროის არაბი მკითხველისთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი ყოფილიყო. 1948 წლის არაბულენოვანი გამოცემა შესწორებული და შევსებულია რეიჰანის ძმის მიერ (Rihani 1948: 127-131). სწორედ არაბული ენიდანაა თარგმნილი რუსულად რეიჰანის „ჯუჰანი“, თუმცა რუსულენოვანი თარგმანი ეყრდნობა არა ბოლო, არამედ 1922 წლის ნაკლებ არაბულენოვან გამოცემას, შესაბამისად რუსული თარგმანიც არასრულყოფილია. რუსული თარგმანი (მთარგმნელი – დერდროვა) შესულია 1981 წელს გამოცემულ კრებულში: XIX-XX საუკუნეების არაბული რომანტიკული პროზა („Арабская романтическая проза XIX-XX веков“). შენიშვნებში მთარგმნელი თავად მიუთითებს, რომ თარგმანი შესრულებულია კაიროს 1922 წლის გამოცემის მიხედვით. ამდენად, რუსული თარგმანის გამოჩენამდე არსებობდა რამდენიმე გამოცემა: 1917 წლის ნიუ-იორკის გამოცემა, 1922 წლის კაიროს გამოცემა, 1933 და 1948 წლის ბეირუთის გამოცემა.

რუსულენოვან კრიტიკაში რამდენიმე არაბულენოვანმა თარგმანის არსებობამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ დავეთანხმებით დოლინინას მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ამინ არ-რეიჰანიმ შეცვალა მესამე გამოცემაში მოთხრობის ფინალი და დაამატა მუსტაფას ეპიზოდი (Долинина 1981:18). იგივე აზრს ავითარებს აიდა იმანგულიევაც მუსტაფას მონაკვეთთან დაკავშირებით: „როდესაც ჯუჰანი თავიდან გამოიცა

1933 წელს, რეიჰანიმ შეცვალა ფინალი. ჯუჰანი არ მომკვდარა, ის სტამბოლიდან მოშორებით ცხოვრობს და ზრდის ვაჟს, რომელიც ეყოლა გერმანელი შეყვარებულისგან“ (Imangulieva 2009: 112). ვფიქრობთ, დოლინინასა და იმანგულიევას მოსაზრება ნანარმოების ფინალთან დაკავშირებით მცდარია, რადგან ორიგინალ ინგლისურენოვან ხელნაწერში აღნიშნული მონაკვეთი თავიდანვე არსებობდა. სინამდვილეში, ამინ არ-რეიჰანის არც არაბულენოვან და არც ინგლისურენოვან ტექსტში ცვლილება არასდროს შეუტანია. დოლინინა და იმანგულიევა მიუთითებენ 1933 წლის მესამე გამოცემაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ თუკი 1948 წლამდე რომელიმე არაბულენოვან გამოცემაში მართლაც არსებობს მოთხრობის სრული ვერსია, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ გამომცემელს არაბულენოვან ტექსტთან ერთად ხელთ უნდა ჰქონოდა ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი არაბულ ტექსტთან შესადარებლად და მის შესავსებად.

დღესდღეობით ამინ არ-რეიჰანის აღნიშნული რომანის არაბულენოვანი თარგმანის ელექტრონული ვერსია PDF ფაილის სახით ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში (<https://www.hindawi.org/books/39464158/>), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტში გავრცელებულია არა სრული და შესწორებული ვარიანტი, არამედ ნაკლული, სავარაუდოდ 1922 წლის გამოცემა. ინტერნეტ სივრცეში რომანის განთავსების და გავრცელების წყაროდ ჩანს Hindawi organization: [www.hindawi.org](http://www.hindawi.org), საიდანაც სავარაუდოდ ტექსტი სხვა საიტებზეც მოხვდა და დაიბეჭდა კიდევ. მაგალითად, 2016 წელს დამასკოში არაბ მწერალთა კავშირმა „ჯიზის წიგნის“ სერიის ფარგლებში თავიდან გამოსცა „ჯუჰანი“ (<https://www.albayan.ae/books/from-arab-library/2017-05-02-1.2933397>), თუმცა ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ნაკლულ ვარიანტთან. ჩანს, აქაც გამომცემელი ელექტრონულ ვერსიას დაეყრდნო და სათანადოდ არ გადაამოწმა ტექსტი და არ შეუდარა ორიგინალს. გამოდის, რომ არაბულენოვანი მკითხველი ხშირ შემთხვევაში ეცნობა არასრულ ტექსტს. ამიტომ, საჭიროა გამომცემლები დაინტერესდნენ ამ საკითხით და თავიდან გამოსცენ „ჯუჰანის“ სრული თარგმანი არაბულ ენაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ინგლისურ ორიგინალთან, ნანარმოების სხვა ენებზე თარგმნის შემთხვევაში კი მთარგმნელი, პირველ რიგში, უნდა დაეყრდნოს უშუალოდ ორიგინალს. ამრიგად, ამინ არ-რეიჰანის „ჯუჰანის“ ნაკლული არაბულენოვანი და რუსულენოვანი გამოცემები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თარგმანი ასე დაშორდეს ორიგინალს. მთარგმნელის მისია კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას ტექსტის სიზუსტე და შეძლოს ლიტერატურული ღირებულებების მაქსიმალურად უდანაკარგოდ გადატანა ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში.

### დამონმუბანი:

- Allen, Roger. „The Nahdah and It's Problematics: Ameen F. Rihani and The Mahjar“. *Ameen Rihani's arab-american legacy: from Romanism to Posrmodernism. Proceedings of the Second International Conference on Lebanese-American Literary figures. Introduced by Naji B. Oueijan, Editor-in-Chief.* Lebanon: Notre Dame University, 2012.
- Dolinina, Ana. *Arabskaya Romanticheskaya Proza XIX-XX Vekov.* Sbornik perevody s arabskogo Predislovie A. Dolilinoj. Leningrad: khudozhestvennaya literatura, 1981 (Долинина, Ана. Арабская романтическая проза XIX-XX веков. Сборник перевод с арабского Предисловие А. Долиной. Ленинград: Художественная литература, 1981).
- Gardavadze, Darejan. „Aghmosavletsa da Dasavlets Shoris Bednierebis Dziejashi“. *Jibran Khalil Jibrani, Amin Ar-reihani: Mtsire Proza, Esei'st'ik'a.* Tbilisi: gamomtsemloba „kartuli ak'ademiuri ts'igni“, 2015 (გარდავაძე, დარეჯან. „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბედნიერების ძიებაში“. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ამინ არ-რეიჰანი: მცირე პროზა, ესეისტკა. თბილისი: გამომცემლობა „ქართული აკადემიური ნიგნი“, 2015).
- Gardavadze, Darejan. „Aghmosavletisa da Dasavletis Shekhvedra Akhal Arabul Mts'erlobashi“. *Sjani.* VIII. 2007, gv. 107-114 (გარდავაძე, დარეჯან. „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრა ახალ არაბულ მწერლობაში“. სჯანი. VIII. 2007, გვ. 107-114).
- Imangulieva, Aida. *Gibran, Rihani, Naimy, East-West Interactions in Early Twentieth-century Arab Literature;* translated from the Russian by Robin Thomson. Oxford: Inner Farne Press, 2009.
- Rihani, Ameen. *Juhan, A Novelette.* Beirut: NDU Press, 2011.
- Rihani, Ameen. *Kharij Al-Hareem.* 4<sup>th</sup> edition. Beirut: 1948.
- Rihani, Ameen. *Ar-Rihaniyat.* Hindawi Foundation for Education and Culture. Cairo: 2014. (<https://www.hindawi.org/books/81380829/>)
- Ts'ereteli, Giorgi. *Emin Reihani.* Mnatobi. VI. 1945, gv. 75-77. Reprint: *Aghmosavletmtsodneoba.* III. 2014, gv. 276-77 (წერეთელი, გიორგი. „ემინ რეიჰანი“. მნათობი. VI. 1945, გვ. 75-77. რეპრინტი: *აღმოსავლეთმცოდნეობა.* III. 2014, გვ. 276-77).

**Nino Surmava**  
(Georgia)

## Ameen Rihani's "Juhan" and Problematic of its Translations

### Summary

**Key words:** Juhan, arabic/russian translations, Ameen Rihani.

In this article we discuss Rihani's small novel "Juhan", where the writer develops the theme of linking of two different religions and cultures, East and West through love. Before considering the translation problems, we analyze the novel itself, written in English by the author in 1917. English "Juhan" was not published when it was written, but in the same year it was translated and published in Arabic language as well by 'Abd al-Masih



Haddad with the title “Outside the Harem”. Arabic translation was published many times in the following years and English original manuscript (typed on the typing machine, with the author’s handwritten corrections in some places) was kept in the writer’s home museum and only in 2011 the printed version of the novel was published. English publication of 2011 is regarded as the most complete text.

“Juhan” is one of the first fictional works in Arab literature of 20<sup>th</sup> century written about East and West theme. It is well known that Rihani was active defender of the women’s human rights and he openly wrote about the issues tabooed in the eastern society in early 20<sup>th</sup> century. Unlike the contemporary writers, in the novel “Juhan”, Rihani created the character of daring, young revolutionary Turkish woman desiring to bring modernized western values to her people. Juhan is some kind of symbol of awakened East. The main character has many common with the author as well.

The story reflects the events of World War I, action takes place in 1915, in Turkey and the couple of main characters are German von Wallenstein, the military advisor in Istanbul equipped with unlimited authorities and young Turkish aristocrat woman Juhan. Thus, “Juhan” describes absolutely new events and conflicts; “Juhan” contains not only the feminist ideas; it shows the conflict between two different, oriental and occidental worlds. Following by two main characters symbolizing East and West by the way of love to one another ends fatally as these ways never meet. The characters have absolutely different goals in these relationships – eastern women fights for the longed freedom, she dreams to give birth to a child, who would combine oriental and occidental values while the western man strives for unlimited power, his “Asian dream” is to see the empire under German protectorate.

At the end of the work the author shows the failure of the idea of marriage between east and west. Though both characters had made attempts to show willingness to compromise: general acquired eastern traditions and Juhan – the western ones, the idea of their marriage has failed. Juhan is against marriage though the hope is in her future. Juhan’s son, Mustafa will be the very “prophet” able to combine eastern and western values. This is the main idea of the novel.

We would like to specially focus on the end of the fictional work. It is different in English original work, Arabic and Russian translations. In the first and second Arabic editions (1917 and 1922) “Juhan” ends with the scene of the general’s murder scene and Juhan’s suicide. Translator (‘Abd al-Masih Haddad) has completely changed the final and withdrew the section about Mustafa that is a very significant and indivisible part of the novel, containing the main idea of the work, in our opinion. Rihani’s “Juhan” was translated into Russian from the Arabic version though the Russian translation is based not on the most recent edition but on the incomplete one of 1922 and hence, the Russian translation is incomplete as well. Russian translation was included into the collection published in 1981: *Arabic Romantic Prose of 19<sup>th</sup> – 20<sup>th</sup> Centuries*. Translator Derdirova specified that the translation was made from Cairo edition of 1922. Thus, before publication of Russian

version there were published several editions: New York edition of 1917, Cairo edition of 1922, Beirut editions of 1933 and 1945.

Existence of several versions in Arabic language has caused certain confusion in Russian criticism. In this respect, we cannot share Dolinina's, as though Ameen Rihani has changed the final of the story in the third edition and added Mustafa's episode. Aida Imangulieva shares this opinion about Mustafa's episode: "When "Juhan" was re-published in 1933, Rihani changed the final. Juhan has not died; she lived far from Istanbul, raising son born from her German lover". We regard that Dolinina's and Imangulieva's opinion about final of the novel is wrong, as original, English manuscript contained this episode from the outset. Actually, Ameen Rihani has not made any changes either in Arabic or in English texts. Dolinina and Imangulieva refer to the third edition of 1933, which, unfortunately, was not found, but if in any Arabic edition before 1948 there really is the full version, this means that the publisher, together with the Arabic text, had also the English original manuscript, for comparison with the Arabic text and its completion.

Currently, electronic version of Arabic translation of Ameen Rihani's novel, in a form of PDF file is available in the internet, though it should be mentioned that this is not a complete and corrected version but rather the incomplete one, supposedly, the edition of 1922. We suppose that the novel was posted and spread in Internet by Hindawi organization: [www.hindawi.org](http://www.hindawi.org) and the text was taken from there by the other sites as well and even printed. In 2016, in Damascus, Union of Arab Writers have published "Juhan" within the "pocket-book" series though, in this case as well, this was the incomplete version. Supposedly, in this case the publisher has relied upon the electronic version, without proper checking and comparing with the original. Thus, Arabic readers, in many cases, get familiar with the incomplete text and the publishers should consider this issue more carefully and publish full translation of "Juhan" in Arabic language that corresponds to the English original and in case of translation of this work into the other languages the translators should primarily rely upon the original version. Thus, incomplete Arabic and Russian translations of "Juhan" by Ameen Rihani are the clear example of how the translation can be so different from the original work. The translator's mission should be in maintaining accuracy of the text and transferring the literary values from one language system to the other with minimal losses.